ცნობის ფურცელი

№ 2141 კვირა, 4 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2141

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში გიმნ. დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-115 №-რი.

კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე თავადი

კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.

პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 1-ლ საათზე და საღამოს 8 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (0—2).

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუშა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები იყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—15)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მ. ს. მუსხელიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. გ. ბადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოზროლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

მ. გ. ბადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

მეზრილიანცე

კ. დ. კობახიძე

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თულაევისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.

(3—5—1)

სამოსახლო ადგილი

300 ჩარხსა საჟ.

იყიდება

ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.

იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში" ქუჩუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა, № 7, მე-9 ნაწილში. (10—5.—4)

თავად-აზნაურთა კრების გამო

ისეთი მარტივი და ყველასათვის ცხადი საგანი არა არის-რა, როგორც საკითხი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ სახალხო განათლების საქმეში. ხალხის განათლება, წინსვლა ყოვლად მოუხერხებელია, თუ იგი არ სწარმოებს დედა-ენაზე. ხალხი განუწყვეტელის, შეურყეველის კავშირით არის შეერთებული ენასთან, რომელიც თან დაჰყვა და რომელზედაც ლაპარაკობდნენ იმისი წინაპრები, იმისი მამები. ერთსა და იმავე პირობებს შეუქმნია ადამიანი და იმისი ენა. თავის ენას განშორებული ადამიანი მკვდარია: იგი რეგრესის გზას ადგია და იღუპება არა მარტო გონებრივად, იხრწნება ფიზიკურადაც.

ეს საანბანო ჭეშმარიტებაა დღეს. ენის მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა ხალხის განვითარებაში აღიარა საჯაროდ წელს, სხვათა შორის, სამეურნეო საზოგადოებამაც, რომელმაც ეკონომიურის მხრით განიხილა საგანი და სოფლელის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ დაინახა, რომ სახალხო სკოლებში სამშობლო ენა დაამკვიდრდეს და პირველ დაწყებითი სწავლება აუცილებლად დედა-ენაზე სწარმოებდეს.

ამ საგანს მიაქციეს ყურადღება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სამაზრო კრებებმა. მაისის საგუბერნიო კრებაზედაც აღიძრება კითხვა, თავად-აზნაურობამ იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ დაცულ იქმნას სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში ქართული ენა. როგორც დანამდვილებით ვიცით, იმავე კრებაზე ერთს პატივცემულს პირს უნდა შეიტანოს წინადადება, რომ ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ქართულს ენას პირველ დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში...

იმედია, ქუთაისის თავად-აზნაურობის მაგალითს წაჰბაძავს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაც. იმას უფლება აქვს ითხოვოს, სადაც ჯერ არს, რომ შემოღებულ იქნას სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე...

თავის თავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო ენა ყველგან და ყველასათვის არის საჭირო. თუ ამ ჟამად სახელმწიფო ენის მნიშვნელობას ორიოდე სიტყვით ვეხებით, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ყველასათვის აშკარა და ნათელია და ჩვენც ბევრჯელ გვქონია შემთხვევა ამაზე გველაპარაკნა...

ქვეყნის სამსახური იქმნება აგრეთვე, თუ თავად-აზნაურობა ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობა საკითხს კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ. ბ. ალ. მანთაშევის უხვ-შეწირულების შემდეგ ეს საკითხი მტკიცე ნიადაგზე სდგება და მოსალოდნელია, ჩვენის ქვეყნის დიდი ხნის სურვილი მალე განხორციელდება. ამის აღსრულებას დღემდე უმთავრესად საშუალებათა ნაკლებობა აბრკოლებდა; ეხლა კი დაბრკოლება თითქმის აღარ არის და ამიტომ საჭიროა ქალაქის შუამდგომლობას თავად-აზნაურობამაც მხარი დაუჭიროს...

საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად აზნაურთა წრევანდელს მორიგ კრებას საყურადღებო საკითხები აქვს განსახილველი, თუმცა უმეტესი ნაწილი მათგან კერძოდ ამ წოდების ინტერესებს შეეხება, როგორ, მაგალითად: პანსიონ-თავშესაფარის დაარსება, სანავთო ადგილების იჯარით აღება, დეპუტატთა საკრებულოსათვის შენობის აგება და სხვა. ამ საკითხთა შორის საყურადღებოა წინადადება იმის შესახებ, რომ დაკლებულ იქმნას ცენზი თავად-აზნაურთა კრებაზე მონაწილეობის მისაღებად. დღეს ამ კრებებზე გავლენა აქვთ მხოლოდ კარგის შეძლების თავად-აზნაურთა მცირე რიცხვს, რადგან არსებული ცენზი ფრიად მაღალია ჩვენ ღარიბ თავად-აზნაურობისათვის...

ფრიად საყურადღებოა საკითხი დროებით ვალდებულ გლეხთა საძოვარ ადგილების შესახებ, მაგრამ ამაზე მოველაპარაკებით მკითხველთ, როდესაც პროექტი გამოქვეყნებული იქმნება...

კიდევ ერთი შენიშვნა: განსახილველ საკითხთა შორის ისევ არის საქმე უმაღლესად ნაბოძებ ფულის განაწილების შესახებ. ეს მესამე წელიწადია ამ საქმეს აღარაფერი ეშველა. ჩვენის აზრით, საქმე არც არასოდეს არ გადაწყდება, თუ თავად-აზნაურები იმ დროს ელიან, როდესაც ყველა ერთსა და იმავე აზრზე შეთანხმდება. ჩვენა გვგონია, რომ დროა ეს საქმე გადაწყდეს და კიდევ კომისიას აღარ გადაეცეს; თორემ ეს დაუსრულებელი ამბავი გახდება!..

საზღვარ-გარედ

ბალკანეთის კრიზისი და პროფესორი ვამბერი. ვამბერი დიდათ ცნობილი გეოგრაფი და დაუღალავი მოგზაურია, თან ღრმა მცოდნე საერთაშორისო დამოკიდებულებისა ახლო აღმოსავლეთში და საშუალო აზიაში და, როგორც ეგეთი, დიდი წინააღმდეგია რუსეთის პოლიტიკისა.

სწორედ თავის ამ მიმართულების მიზეზით ვამბერი ყოველთვის ოსმალეთის ქომაგი იყო, მაგრამ ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ბრწყინვალე პორტა აღარ ჰღალატობდა თავის უგუნურ ტრადიციასა და პოლიტიკას, იძულებული გახდა აზრი გამოეცვალა და შემდეგი წერილი დასტამბა ერთ გერმანულ ჟურნალში*):

„...ოსმალეთში მცხოვრები ქრისტიანი ხალხები—ბოლგარები, სერბები და ბერძნები—ყველაზე უწინ იმას არიან მოწადინებული, რომ თავი გაინთავისუფლონ ოსმალთა უღლისაგან; ამიტომაც ყველაფერი, რაც კი ოსმალეთის მთავრობისაგან მოდის, მათ ეზიზღებათ... წარსულ საუკუნოებში, როცა ოსმალეთი საკმაოდ ძლიერი იყო, რომ ალაგმული ჰყოლოდა თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომები, და ჯერ კიდევ არ შესულიყო აღმოსავლეთის ხალხებში გამოღვიძებული კულტურა დასავლეთისა, მაკედონია წყნარად იყო და არავინ არ ჰფიქრობდა აჯანყებაზე არსებულ წესის წინააღმდეგ. მაგრამ ეხლა, როცა ოსმალეთის ევროპის ქრისტიანი ხალხები თან-და-თან განთავისუფლდნენ და შეჰქმნეს ეროვნული სახელმწიფოები, ასეთი მაგალითი მეტად ძლიერად მოქმედებს და შეუძლებელია, რომ ბოლგარები, სერბები და ბერძნები კარგ განწყობილებაში იყვნენ მათთვის უცხო მთავრობასთან.

ის, რაც მაკედონიაში ხდება დღეს, დიდი ხანია მზადდებოდა და ყირიმის ომის გათავებისთანავე აქ გაჩნდნენ საიდუმლო საზოგადოებანი იმ მიზნით, რომ ოსმალეთის უღელი თავიდან მოეშორებინათ. ამიტომ ვერავითარი რეფორმა ვერ დააკმაყოფილებს ამ ხალხს: ადმინისტრაციის ძირიანი გაუმჯობესება, გადასახადების შემცირება, პიროვნებისა და საკუთრების უზრუნველ-ყოფა დიდი სიკეთეა, მაგრამ იგი ვერ შესძლებს შესცვალოს საქმის მდგომარეობა.

მაკედონელებს არაფერი არ სჯერათ ოსმალეთის მთავრობის დაპირებისა... ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ ოსმალეთის ეხლანდელი ცდა რეფორმების მოხდენისა სრულ უნდობლობლობას იწვევს იმ წრეებშიაც კი, საიდანაც მომდინარეობს დღეს რეფორმის მოძრაობა. საკმარისია გავიხსენოთ განსვენებულ გორჩაკოვის ერთი ნათქვამი: „ოსმალეთს არ შეუძლიან თავისით მოახდინოს სახელმწიფო რეფორმა, რადგან რეფორმა მისთვის სიკვდილიაო".

მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები იყო თქმული, ოსმალეთი არ გამოცვლილა, თუმცა კერძოდ ბევრმა ოსმალელმა შეითვისა ნამდვილი ევროპიული კულტურა: ეფენდების თუ ფაშების რიცხვი, რომელთაც იციან ევროპიული ენები, შეუსწავლიათ სპეციალურად ექიმობა, სამხედრო ხელოვნება, ინჟენრობა და ადმინისტრაცია, მეტად გაიზარდა; მაგრამ თუ ოსმალეთში კერძო პირი ძალიან წინ წავიდა პროგრესისა და კულტურის გზაზე, სამაგიეროდ სახელმწიფო ცხოვრება, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, სულ უკან-უკან მიდის შეუჩერებლად. ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზები შემდეგია: პირველად შეუზღუდველი, აბსოლუტური თვითმპყრობელობა, რომელიც სრულებით არ გამოცვლილა ამ ორასის წლის განმავლობაში და აქამდე შეულახველად შეუნახავს თავისი აზიური ხასიათი, და მეორედ ის, რომ ოსმალებმა ევროპაში დაიპყრეს ქვეყნები და არა ხალხები, რომელნიც დაშორებული იყვნენ გამარჯვებულებისაგან სარ-

---

*) მოკლედ აზრი ამ წერილისა უკვე მოყვანილ გვქონდა.

წმუნოებითა და ენით და ყოველთვის მტრულად უყურებდნენ მთავრობას. სახელმწიფოს ასეთი ელემენტი მეტად საშიში შეიქნა მას შემდეგ, რაც ეს სახელმწიფო დაეცა და დასუსტდა. ასეთ პირობებში ოსმალეთის მთავრობა თავის დღეში ვერ შეიძენს ქრისტიან ქვეშევრდომების თანაგრძნობას: ერთობ დიდია უფსკრული, რომ შერიგება შესაძლებელი იყოს. ადმინისტრაციისა და სახელმწიფოს რეფორმას მხოლოდ მაშინ მოჰყვებოდა სასურველი შედეგი, რომ გაჰქრებოდეს განხეთქილება, მძულვარება და ეჭვიანობა ამდენ ხალხებ შორის და ყველა გულ-წრფელად თანახმა იქმნეს მიიღოს საერთო პოლიტიკური სახელწოდება—„ოსმალნი", რომელიც თავის დროშაზე უწერია ოსმალეთის სახლმწიფო მოღვაწეთა ახალთაობას; მაგრამ ეს არავის ჰსურს, რადგან მათთვის ბევრად უფრო სასიამოვნო და კეთილხმოვანია იწოდებოდნენ—სომხად, ბერძნად, ბოლგარად, ალბანელად და სხვად. გარდა ამისა, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა ყურად-საღები: ოსმალეთი რომ საუკეთესო განზრახვებით იყოს გულ-წრფელად აღფრთოვანებული და მართლა ჰსურდეს რეფორმების შემოღება, ამას დრო უნდა და დრო დიდი: იქ, სადაც ძალმომრეობას, ბრმა ფანატიზმს და თვითნებობას საუკუნოების განმავლობაში გაუდგამს ფესვები და კვალიც კი არ დაუტოვებია კანონიერ მთავრობისა, ერთბაშად არაფერი გაკეთდება... განა შესაძლებელია, რომ ველური ალბანელი, ძარცვა-რბევას და მკვლელობას შეჩვეული, დაემორჩილოს ქრისტიან ჟანდარმს, იარაღი აიყაროს, გადასახადი წესიერად იხადოს და გულ-წრფელად მიიღოს „ყველასათვის თანასწორი სამართალი"? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან თემს, რომელსაც მთელი საუკუნოები ეფერებოდა და აღიარებდა მთავრობა, სულთანი ერთბაშად ვერ წაართმევს უპირატესობრივ მდგომარეობას და ვერ გაუთანასწორებს სხვას".

ერთის სიტყვით, თუ სურთ, რომ ეხლავე გადაწყდეს მაკედონიის საქმე, იგი უნდა გადაწყვიტოს ევროპის სახელმწიფოებმა, რადგან ოსმალეთს არსებითად არ შეუძლია საქმის მოგვარება, ძალიანაც რომ მოინდომოს. ევროპა კი ისევ ოსმალეთს აჯალებს... ამიტომაც არის, რომ ოსმალეთისა არ იყოს, არც ევროპისა სჯერათ, რომ გულწრფელად სურდეს მაკედონიის კითხვის გადაწყვეტა.

საფრანგეთი. ერთს ძნელად დასაჯერებელ, მაგრამ საგულისხმიერო და ეხლანდელ მდგომარეობის დამახასიათებელ ამბავს იტყობინება ფრანგული გაზეთი „სოლეილ"-ი. სადღესასწაულო წარმოდგენაზე, რომელიც ინგლისის მეფის ედუარდ მეშვიდის პატივსაცემლად იყო გამართული, საფრანგეთის პირველ მინისტრს საუბარი უნდა ჰქონებოდეს ერთ გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწესთან და, სხვათა შორის, უნდა ეთქვას შემდეგი:

„არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო ეპისკოპოსების პროტესტს ჩემ ცირკულიარების წინააღმდეგ. მოხარული ვარ, რომ სენატში შემეკითხებიან ამ საქმის თაობაზე და ამით შემთხვევა მომეცემა გამოვთქვა ჩემი აზრი. ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება ეხლა ისეთ უკიდურესობამდეა მისული, რომ შეუძლებლად მიმაჩნია დავტოვო ეხლანდელ მდგომარეობაში ან ძველი სახე მივცე. მაშასადამე, ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშორება შეიქმნა აუცილებელ საჭიროებად. მე მივიღებ ამ საქმის ინიციატივას პარლამენტში, როცა სესსია დაიწყება, და ნდობის გამოცხადებას მოვსთხოვ ხალხის წარმომადგენელთ. შესაძლებელია პარლამენტი არ დამეთანხმოს, მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია. სამის წლის შემდეგ ისევ ხალხს უნდა დაეეკითხოთ და საყოველთაო არჩევანი საეკლესიო კითხვის ნიადაგზე მოხდება. ეს იქნება ჩვენი უმთავრესი ფლატფორმა; მე მოვიხმარ მთელს ჩემ ენერგიასა და გავლენას, რომ შევაგონო ამომრჩეველებს—დაავალონ თავიანთ წარმომადგენლებს ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშორება პარლამენტში. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მიზანს მივაღწევ".

მართალია თუ ტყუილი „სოლეილ"-ის მოყვანილი ამბავი, ის კი ცხადია, რომ კომბს უფლება და საბუთი აქვს ასე ილაპარაკოს, და არა მარტო ეპისკოპოსებისა და სამღვდელოების ქცევის გამო, არამედ თვით პაპის პოლიტიკის გამო.

ცნობილია, რომ საფრანგეთი ძველი დროიდანვე ითვლება ყველა კათოლიკეების მფარველად მთელ აზიასა და აფრიკაში რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ. გერმანიის მთავრობა დიდი ხანია მოწადინებულია წაართვას საფრანგეთს ეს უპირატესობრივი მდგომარეობა და გერმანელ კათოლიკების მფარველობა გერმანიის ელჩებს ეკუთვნოდეს. აქამდე ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა გერმანიის დიპლომატიას. ეხლა კი თითქმის მიზანს მიუღწევია, თუ გაზეთებს დავუჯერეთ: ვილჰელმ მეორე რომში იყო და პაპიც ინახულა; ამ ნახვის შედეგი ვითომ უნდა იყოს ის, რომ, გარდა პალესტინისა, ყველგან აზიაში და აფრიკაში, გერმანელ კათოლიკების მფარველობა გერმანიის წარმომადგენელთა ხელში იქმნება.

თუ რომის ეკლესიის მთავრობამ ასეთ საშუალებას მიჰმართა საფრანგეთის მთავრობის შურის საძიებლად, კათოლიკე ეკლესიის პრესტიჟი კიდევ უფრო დაეცემა საფრანგეთში და ეკლესიისა და სახელმწიფოს დაშორება ძნელი აღარ იქმნება.

ახალი ამბავი

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით შესდგა კომისია, რომელმაც **რკინის გზის მოსამსახურეთათვის** უნდა მოაწყოს გონიერი გასართობები და განსავითარებელი დაწესებულებანი. კომისიას დავალებული აქვს: 1. კითხვების გამართვა ხელოსანთა და მუშათათვის რკინის გზის ყველა სკოლასთან; 2. საკვირაო და საღამოს კურსების გამართვა დაბალ მოსამსახურეთა, ხელოსანთა და მუშათათვის; 3. საკითხავ წიგნების გაგზავნა სხვა და სხვა სადგურებზე და კითხვების მოწყობა იქ, სადაც მუდმივი აუდიტორიები არ არის; 4. დაარსება ბიუროსი, რომელმაც უნდა მოაწყოს წიგნთ საცავები და მიაწოდოს აუდიტორიებს სურათები, ფარნები და სხვა საჭირო ნივთები. კომისიის წევრებად არიან სხვა და სხვა ნაწილის უფროსის თანაშემწენი, უფროსი ექიმი, სახელოსნოების უფროსი, მღვდელი ნანობაშვილი და უფროსი კონტროლიორი.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებასთან არსებობს კომისია **ტუბერკულეზისთან** (ჭლექთან) **საბრძოლველ საშუალებათა** შესამუშავებლად. ამ კომისიამ საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება ტფილისში შემოდგომაზე ექიმის ბლუმენტალის სისტემის ეგრედ წოდებულ „სატუბერკულეზო გამოფენის" გამართვის შესახებ. ეს ექიმი დიდი ხანია სცდილობს ტუბერკულეზთან ბრძოლის საქმის მოწყობას. ამ აზრით რუსეთსა და საზღვარ-გარედ ჰკითხულობს ლექციებს ბუნდოვან სურათებით და ჰმართავს გამოფენებს. ამ ჟამად ბლუმენტალი საზღვარ-გარედ არის. ბლუმენტალი თანახმაა თურმე მოვიდეს შემოდგომაზე და წაიკითხოს ორი ლექცია, აგრეთვე გამოჰგზავნოს თავისი ექსპონატები. საზოგადოებამ გზის ფული უნდა გადაიხადოს. გამოფენა გაიმართება „დიდების ტაძარ"-ში, ხოლო ლექციებს ბლუმენტალი წაიკითხავს „კრუჟოკ"-ის სადგომში. სამკურნალო საზოგადოებამ მიიღო კომისიის წინადადება და გადასდო 500 მანეთი ამ საქმისათვის.

◆ მთავრობას აზრადა აქვს **გააძლიეროს ბათუმისა და ფოთის პოლიცია.** ბათუმში დანიშნავენ ერთ ახალ ბოქაულს და 15 პოლიციელს, ხოლო ფოთში—ბოქაულსა და ექვს პოლიციელს.

◆ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიზრახა **მშობიარეთათვის თავშესაფრის დაარსება.** სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ განიხილა მოხსენება ქანანოვისა ამ საგნის შესახებ და მოიწონა. საბჭომ გადასწყვიტა, თავშესაფარი გამართოს ღარიბთათვის მეშვიდე და მერვე საპოლიციო უბნების საზღვარზე. ამ თავშესაფარში 10 ქალის დაწვენა შეიძლება. უნდა დაინიშნოს იქ ორი ექიმი ქალი; თითოს ექმნება წელიწადში 1200 მანეთი. ერთი გამგე იქმნება და იქვე იცხოვრებს. ამათ გარდა დაინიშნება ორი ბებია ქალი, თითოს 360 მანეთი ექმნება. საბჭომ გადასწყვიტა აგრეთვე, დააწესოს ორი თანამდებობა ბებია ქალისა, რომელთაც ღარიბ მშობიარეებს სახლებში უნდა აღმოუჩინონ დახმარება და თავშესაფარშიაც იმუშაონ. სულ თავშესაფარს წელიწადში დასჭირდება 9,000 მანეთი.

◆ 2 მაისს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ხორცის დუქნების გამგე კომისიისა. კრებამ საჭიროდ არა სცნო ხორცის ნიხრის მომატება, ამასთან გადასწყვიტა აცნობოს საბჭოს საცდელად დაკლულ საქონლის გაყიდვის შედეგი, რომ ამის-და მიხედვით დაწესდეს ნიხრი. საზოგადოდ, ნიხრის საქმე ვერაფრით ვერ გადასწყდა. კრებაზე ზოგი მომატებასა თხოულობდა, ზოგი დაკლებას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხორცის დუქნების გამართვის შემდეგ ყასბებს არ მოუთხოვნიათ ნიხრის მომატება. საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ხორცის დუქნებს პირველ იანვრამდე 5000 მანეთი ზარალი მოუვიდათ (არ გამოუცხადებიათ, რამდენია ზარალი იანვრის შემდეგ). გუშინ ამავე ნიხრის შესახებ გამგეობამ მოილაპარაკა და საჭიროდ სცნო ნიხრის მომატება. მომატების მომხრენი იყვნენ შესტაკოვი, ჩერქეზიშვილი და ენფიანჯიანცი; წინააღმდეგნი—თავ. არღუთინსკი და კოჩქაევი. იმათის აზრით, პირველ ხარისხის ხორცი უნდა გაიყიდოს 16 კაპ. (აქამდე 12 კაპ. იყო), მეორესი—13 კაპ. (იყო 9 კ.), მესამესი—10 კაპ. (იყო 6 კ.) უმთავრესი მიზეზი ნიხრის მომატებისა ის უნდა იყოს, რომ ქალაქის ხორცის დუქნები ზარალობენ... გამგეობის მოხსენებას ხვალ საბჭო განიხილავს.

◆ გუშინ, 3 მაისს, ტფილისის **ქალაქის გამგეობის მუშებმა**, რომელთაც მინდობილი აქვთ ქალაქის ქუჩებისა და მოედნების განათება, განცხადება შეიტანეს გამგეობაში და ითხოვეს ჯამაგირის მომატება. მუშებს ეძლევათ 15 მანეთი, თხოულობენ 18 მანეთს. მუშები, სხვათა შორის, აცხადებენ, რომ დღე-ღამე მოსვენება არა გვაქვს და ვერც კვირა-უქმეებით ვისვენებთო.

◆ როგორც ვუწყით, უსახელო საზოგადოებამ ხელი აიღო **საჰიდრავლიკო სადგურის** შესახებ ქალაქთან მოლაპარაკებაზე, რადგან ქალაქმა არ აასრულა ზოგიერთი პირობა. ეხლა ხმოსანთა ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია, კერძო კრებანი მოახდინოს ამ სადგურის შესახებ მოსალაპარაკებლად და საქმის მოსაგვარებლად.

◆ 2 მაისს **კერძო კრება** ჰქონდათ ტფილისის საბჭოს ხმოსნებს იმის შესახებ მოსალაპარაკებლად, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ტფილისმა პეტერბურგის საიუბილეო დღესასწაულში. კრებამ დაადგინა: გაჰგზავნოს წარმომადგენლად დეპუტაცია, მსურველ ხმოსანთაგან შემდგარი, ქალაქის მოურავის არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით; მიართვას ადრესი ქ. პეტერბურგის თვით-მმართველობას და მიულოცოს დღესასწაული.

ფელეტონი

პატარა ამბები

ვინ არის უვიცი?—ერთი პატარა მაგალითი „მამულიშვილების" ცხოვრებიდან

უკვე მქონდა წინად აღნიშნული, თუ რა ნაკლებად არის გავრცელებული ჩვენში სხვის პიროვნებისადმი პატივისცემა: გოლცდებიან, სიმხდალედ ჩამოგართმევენ, თუ მოპირდაპირეს პატივისცემით და ზრდილობიანად მოეპყარით; საუკეთესო იარაღად მიაჩნიათ ლანძღვა-გინების ხმარება პოლემიკაში, ზოგიერთს დიდი ენა-მახვილობა ჰგონია მოწინააღმდეგის დედ-მამის შეურაცხყოფაც. ცოტა ხნით, თითქოს სწორ გზას დაადგება მწერლობა, უხეიროს და ახირებულს არაფერს შეხვდები ადამიანი, მაგრამ თითქოს მობეზრდებათ ჩვენს მწერლებს ასეთი „სიჩუმე" და უცებ ისეთ-ისეთს მარგალიტებს წამოისვრიან, რომელთაც პირველად ხედავ გაზეთის ფურცლებზე... მაგრამ აღარ დავუბრუნდები ამას.

და მეტის პატივისცემით მოვეპყრობი იმ მამებს, რომელნიც თავის სალამის ღირსადაც კი არა გვთვლიან და სხვა-და-სხვა უზრდელის სახელებით გვამკობენ. დაე, შეუნდოს მათ ღმერთმა შეცოდებანი მათნი, რომელნიც, ალბად, მეტის „პატრიოტობისაგან" მოსდით!

მერე რისთვის არ მოეწონვართ? სამშობლო არ გიყვართ (რა ძველის-ძველი ამბავია!), უვიცნი ხართ, სასოება დაგიკარგავთო! კოსმოპოლიტობთ, მარქსისტობთო! (სწორედ ასე ლანძღავს ერთს ვოდევილში ღენერალი მისი ქალის მოარშიყე ახალგაზრდებს: აი, თქვე სოციალისტებოო!).—როგორა სთქვით: ეროვნება იარაღია ადამიანურის ცხოვრებისათვისო! განა ეროვნება იარაღია რისთვისმე და არა ეროვნებისათვის არის ყველაფერი იარაღი? ადამიანობა ხომ ყოველს „ვინგინდარას" შეუძლიან, და მაშ თქვენი დევიზია: ადამიანურად კი იცხოვრე და სულ ერთია, ქართველი იქნები თუ ჯანაბა? თქვენ გინდათ სოლიდარობა, და გინდათ მოსპოთ ეროვნებაო? და სხვა-და-სხვა. საყვედური ბევრია, სხვა-და-სხვა სახელით, მაგრამ აზრი ერთია ყველასი: სამშობლოს მოღალატენი ხართ და ეხლავე უნდა მოგიშოროთ თავიდანო!

მაგრამ ფუჭია და სიტყვების უაზრო რახარუხი ასეთი საყვედურები! უვიცია და საგნის არა გაეგება-რა, ვინც ამ საყვედურებს ისვრის. აბა, სხვა ვინ უარჰყოფს, რომ ეროვნებას იმდენად აქვს ფასი, რამდენად იგი აწიჭებს კაცს ადამიანურს ცხოვრებას? თუ იგი ადამიანის ცხოვრების გაუკეთესებას არ ემსახურება, თუ არ ამაღლებს და აფრთოვანებს ჩვენს ადამიანობას, მავნებელი ყოფილა და დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ მის მოსპობას. რის მაქნისია ეროვნება, თუ არ ემსახურება ისეთს უდიდეს მიზანს, როგორც არის ადამიანური ცხოვრება? ან რა არის თვითონ? არა—ადამიანური ცხოვრება? ჩვენ არ ვამბობთ ამას, და ამიტომ მოკლებულნი ვართ ეროვნულს იდეალს?

საუცხოვო აზრებია, მათ ლოღიკას ვერავითარი ძალი ვერ შეარყევს!! მოგვილოცნია ჩვენის მოწინააღმდეგეებისათვის!

ტყუილად ვამბობდი, მათ მამულიშვილობას ველური ელფერი ადევსთქვა?

დიე, თაყვანი სცენ ასეთ კერპს-ეროვნებას, ჩვენ კი გვწამს და ვემსახურებით მხოლოდ იმ ეროვნებას, რომელსაც ადამიანურის ცხოვრებისაკენ მივყევართ. ვიცავთ ეროვნებას ადამიანებისათვის. გვინდა მოვუპოვოთ ადამიანს ეროვნული უფლებანი მიტომ კი არა, რომ იგი ამა თუ იმ ერის წევრია, არამედ მიტომ, რომ ადამიანია. მისი ეროვნული უფლებანი წარმოსდგება მისი ადამიანური უფლებებისაგან. ეს უფლებები გამოაცხადა შეერთებულის შტატების და საფრანგეთის დეკლარაციამ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს; დღევანდელი სოციალური მოძრაობა ამ უფლებათა მოთხოვნაა და განვითარება, ეროვნული იდეაც ხვაგან ვერ ჰპოებს ძალას, თუ არა მათში.

ადამიანური ცხოვრება ხომ ისეც შესაძლებელია და რა საჭიროა ქართველობაო, ამბობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, და ამით ცხადჰყოფენ, რომ თუმცა ძლიერ ბევრს ჰყვირიან ეროვნებაზე, მაგრამ ნამდვილი წარმოდგენა კი არა აქვთ მის მნიშვნელობასა და საფუძველზე. ჩვენ კი ვამბობთ, რომ სრული ადამიანური ცხოვრება შეუძლებელია ეროვნულის წრის გარეშე და ამიტომ ვიცავთ ეროვნებას. ვამბობდით და ვამბობთ: „როგორც ყოველის ცოცხალის ორგანიზმის, ე. ი. მასში არსებულ ძალების, გასავითარებლად საჭიროა შესაფერი წრე, აგრეთვე ადამიანის ყველა ძალის აღმოსაცენებლად, განსავითარებლად, აღსაზრდელად საჭიროა მისი წრე. ადამიანში არსებული ძალა შეიძლება არ ამოძრავდეს, მიიძინოს სამუდამოთ, დარჩეს პოტენციალურ მდგომარეობაში, თუ გარშემო წრემ არ აამოძრავა, არ ჰკრა ხელი, არ მისცა მოტივი. როგორც რაიმე ყვავილის მცირე სუნნელი, რაიმე მუსიკალური ხმა იწვევს ჩვენში მოგონებათ, ამოძრავებს ჩვენს სულს, როგორც რომელიმე ჩვენი ღირსება ან ნაკლულევანება არ გამოჩნდება, თუ არ გამოჩნდა საჭირო, შესაფერი გარემოება, ამგვარადვე ადამიანის ძალა განვითარდება და იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა გარს ახლავს მისი წრე. ქარის მოძრაობა, მზის სხივები, ესა თუ ის დაწესებულება, სახლი, თამაშობა, სიმღერა, ყოველი ელემენტი ჩვენის წრისა აუცილებელია, რომ განვითარდეს ყოველი ჩვენი ძალა, რომ შეიარაღებულ ვიქნეთ ცხოვრებისათვის ჩვენში არსებულ ყოველისავე ძალით".

ამიტომ ვაძლევთ მნიშვნელობას ეროვნების დაცვას, ამიტომ, რადგან მხოლოდ ეროვნულ წრეში შეიძლება ადამიანის სავ-

სწაული და დააარსოს ერთი სტიპენდია პეტრე დიდის სახელობაზე პეტერბურგის რომელსამე უმაღლეს სასწავლებელში. კრებამ ლაპარაკი აღძრა აგრეთვე იმაზე, რომ დაავალონ ქალაქის მოურავს, პეტერბურგში ყოფნის დროს სთხოვოს უმაღლეს მთავრობას იმ შუამდგომლობათა განხორციელება, რომელიც ტფილისის ქალაქის გამგეობამ აღძრა სხვა-და-სხვა საკითხის შესახებ.

◆ გუშინ, დილის 11 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლის სადგომში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სკოლის გამგე კომიტეტის ახლად გარდაცვალებულის თავმჯდომარის თავადის **კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ გამგე კომიტეტის წევრნი, სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი.

◆ **სოხუმში** ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები დანიშნულია 8 მაისისათვის.

◆ ტფილისის გუბერნიის ახალი **საქარხნო ინსპექტორი** ამ თვის გასულს ჩამოვა და შეუდგება თანამდებობის ასრულებას. ძველი ინსპექტორი ხელიმსკი 8 მაისს მიდის რუსეთს, სადაც გადაიყვანეს.

◆ ჩვენი ცნობილი მწერალი **ანტონ ფურცელაძე**, რომელიც ამ ჟამად თოფურიას საავადმყოფოშია სამკურნალოდ, უკეთ არის თურმე და მალე სულ მორჩება.

◆ სომხურ გაზეთების სიტყვით, ა. ი. მანთაშევი **სომხებისთვის** საზღვარ-გარედ საშუალო სასწავლებლის დაარსებას აპირებს თურმე.

◆ გ. გ. კირაკოზოვმა **წყნეთის ქუჩაზე** მოაწყო ელექტრონის განათება. ეხლა კირაკოზოვს სახლის პატრონებთან აქვს მოლაპარაკება სახლების განათების შესახებ. კირაკოზოვს უკვე დაუბარებია მეორე დინამო-მაშინა.

◆ **ხმ. ს. ზ. მირზოევმა** განცხადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში **შეშის გაშრობის გაწესრიგების** შესახებ. მირზოევის აზრით, უნდა გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი და დაევალოთ ვაჭრებს, რომ შეშა წონით გაჰყიდონ ხოლმე.

◆ ამ დღეებში მოსკოვში მოხდება პიროგოვის სახელობის **მკურნალთა საზოგადოების კრება**. კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ გადასწყვიტა, გამგზავნოს ამ კრებაზე თავისი წარმომადგენელი იმ პირობით-კი, რომ სამგზავრო ხარჯი თვითონ წარმომადგენელმა გაიღოს.

◆ გუშინ, 3 აპრილს, ტფილისის **კადეტთა კორპუსის** მეოთხე კლასის მოსწავლენი ბორჯომს წავიდნენ დიდი მთავრის სასახლის დასათვალიერებლად.

◆ **5 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს საქმეს პორუჩიკ ცირულისას, რომელსაც ბრალდება „გრუზიაკ“-ში ბანქოს თამაშის დროს ბოთლის დარტყმა საინტენდანტო უწყების მოხელის შამრავესათვის. შამრავეს იმის გამო ერთი თვალი სრულიად გაუფუჭდა. თავის დროზე ამ ამბავმა ძალიან აალაპარაკა ტფილისელნი.**

◆ **გამგეობამ განიხილა და დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვის ის მუხლები, რომელიც სასანიტარო და სამკურნალო საქმის ხარჯს ეხება. გამგეობამ მცირე რამ ცვლილება შეიტანა ხარჯთ-აღრიცხვაში.**

რუსეთის ქრონიკა

◆ დეპეშებიდან მკითხველებმა უკვე იციან, რომ გაზეთებს „პრავო“-სა და „ვოსხოდ“-ს პირველი გაფრთხილება გამოეცხადათ. როგორც ოფიციალურად არის გამოცხადებული, მიზეზი ის იყო, რომ პირველ გაზეთში დაიბეჭდა წერილი ამ სათაურით „სისხლის ღვრა კიშინევში“, ხოლო მეორე გაზეთში—„ერთი კვირის ამბები“, სადაც აგრეთვე კიშინევის თავ-დასხმის შესახებ იყო ლაპარაკი.

◆ 11 აპრილს, როსტოვის ოლქის უფროსმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი: „1) აღკრძალულია კრებები, ყრილობები და ისეთი მოქმედებანი, რომელსაც მშვიდობიანობის დარღვევა მოსდევს; აღკრძალულია აგრეთვე ქუჩებში შეკრება და გაჩერება; 2) პოლიციის მოთხოვნილებისათანავე შეკრებილნი ვალდებულნი არიან დაიშალნენ; 3) თუ ხალხი პოლიციის ბრძანებას არ დაემორჩილება, ან ქუჩაში უწესოებას მოახდენს, ჯარი იქმნება დაბარებული, რომელიც წესიერების აღსადგენად იარაღს იხმარს; 4) დამნაშავენი დაისჯებიან: ან ჯარიმა გადახდებათ 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქმნებიან სამ თვემდე“.

◆ ჰფიქრობენ ეკატერინოსლავის უმაღლეს სამთო სასწავლებლის გადაკეთებას. სახელმწიფო საბჭოს უკვე დაუმთავრებია ამ საგნის განხილვა. სწავლის კურსი სამის წლის ნაცვლად ოთხის წლით იქმნება. სწავლა დამთავრებულთ ინჟინრის სახელი მიენიჭებათ.

◆ ქალთა შორის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებამ პეტერბურგში საყურადღებო ბიურო დააარსა. ბიუროს აზრადა აქვს სამუშაო მოუნახოს იმ ქალებს, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო საქმეს დაეძებენ. ამავე ბიუროში შეიძლება გაგება ყოველ-გვარი სამეურნეო ცნობისა.

◆ სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტებს, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, დაუმთავრებიათ ერთის საყურადღებო კანონ-პროექტის განხილვა. იგი შეეხება იმ მუშების დაკმაყოფილებას, რომელთაც ქარხნებსა და მთა-მადნებში უბედურება რამ შეემთხვევათ. სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებას განსახილველად ეს კანონ-პროექტი წელსავე გადაეცემა.

◆ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ საჭიროდ სცნო სხვა-და-სხვა გზებზე სატელეგრაფო სკოლების დაარსება.

◆ გზათა სამინისტროს აზრადა აქვს რკინის გზებზე გამართოს განსაკუთრებული სადგომები იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც რკინის გზებზე დაშავდებიან.

პრესსა

პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთები სავსეა წერილებით კიშინევში მომხდარ ამბებისა გამო. ეს არც საკვირველია: ისეთი ულმერთო აკლება ებრაელთა, როგორიც ახლა იყო, ჯერ არ ყოფილა და მთელი საუკეთესო ნაწილი რუსეთის პრესსისა მეტის-მეტად აღელვებულია. ასე გასინჯეთ, „გრაჟდანინ“-იც აღშფოთდა, ასე რომ წინანდელ პოზიციაზე დარჩნენ მარტო „ნოვ. ვრ.“-ია, „სვეტ“, „ზნამია“, „ბესარაბეც“-ი და კიდევ ორიოდე პროვინციალური გაზეთი; „მოსკოვ. ვედომ.“-ი მარტო ფაქტების აღნიშვნას კმაროობს ჯერ-ჯერობით. დანარჩენი ჟურნალ-გაზეთები, როგორც ჰხედავთ დიდი უმრავლესობა, უგულითადეს თანაგრძნობას უცხადებს ებრაელთ, ზიზღით იხსენიებს ებრაელებზე წამქეზებელ გაზეთებს, როგორც „ნოვ. ვრ.“-ია და „ბესსარაბეც“-ია, და თხოულობს სასტიკ გამოძიებას აკლების მთელის საქმისა გამო. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ „რუსკ. ვედომ.“-ის, „ნოვოსტი“-ს და ზოგიერთ პროვინციალურ გაზეთების აზრი ამ აკლების შესახებ; ახლა მოგვყავს კიდევ რამდენისამე გაზეთის მოსაზრება. ცნობილი კრიმინალისტი სენატორი ნაბოკოვი სწერს გაზეთ „ნოვოსტ“-ში:

> როდესაც ჰკითხულობ ცნობებს კიშინევის აკლების შესახებ და მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებასაც, პირველად ყოვლისა გაკვირვებს ის გარემოება, რომ ასეთი აკლება-ჟლეტა ხალხისა შესაძლებელი ყოფილა დიდ ქალაქში, სადაც ადმინისტრაციაც და პოლიციაც ძლიერია და სადაც დიდი ჯარი სდგას. გაკვირვება ორკეცდება, როდესაც ჰკითხულობ, რომ აკლების ამბავი ყველას წინდაწინვე სცოდნია. ხოლო განცვიფრება უმაღლეს წერტილამდე აღწევს, როდესაც ეცნობი ფაქტებს, როდესაც ჰკითხულობ იმის აღწერას, თუ როგორ თავისუფლად დათარეშობდნენ ორის დღის განმავლობაში ბრბოები და ყველას თვალწინ აწიოკებდნენ საბრალო ებრაელებს. სრულიად კანონიერია ამიტომ ის გარემოება, რომ პრესსაში აღიძრა საკითხი კიშინევის პოლიციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სამართალში მიცემის შესახებ.
>
> არ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ კიშინევის ამბების შემდეგ ებრაელების მოძულე გაზეთები კიდევ იკადრებდნენ აწიოკებულ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას. მაგრამ ეს საზიზღრობაც შესაძლებელი ყოფილა. აღმოჩნდა, რომ პრესსის რამდენიმე წარმომადგენელი (საბედნიეროდ, ცოტა) სრული თანამგრძნობელი ყოფილა იმ ბრბოსი, რომელმაც 6 და 7 აპრილს ასეთი საშინელება ჩაიდინა კიშინევში. აღმოჩნდა ისეთი გარყვნილი კალამი, რომელმაც „ნოვოსტ“-ში გამოქვეყნებულ ცნობების გამო გაჰბედა და შემდეგი საზიზღრობა დასწერა: „ებრაელები ყოველთვის ასეთები არიან: ჯერ საქმეს გააფუჭებენ და მერე თვითონვე დაიწყებენ ყვირილს და საზოგადოებას დახმარებასა სთხოვენ“.
>
> ამავე კალამმა შემდეგ დასწერა: „საშინელი ტრაგედია გათავდა. ახლა ის დაგვრჩენია მხოლოდ, რომ ვისურვოთ—ებრაელებს ტყუილად არ ჩაუაროს გაკვეთილმა და აგრეთვე ვისურვოთ, რომ ებრაელების გამო არ გაუბედურდნენ ის ქრისტიანები, რომელთაც ბედმა არგუნა ებრაელთა შორის ცხოვრება“. ბოლოს ესევე კალამი სწერს: „თუ ებრაელთ ჰსურთ თავიდან აიცდინონ შემდეგში ასეთი აკლება, კეთილისმყოფელი უნდა იყვნენ იმ ხალხისა, რომელთანაც ცხოვრობენ; უნდა დაგვიმტკიცონ, რომ მათ ჩვენსავით უყვართ რუსეთი და მზად არიან სისხლი დაღვარონ მის საკეთილდღეოდ,“.
>
> ჩვენ არ შევაჩერებდით მკითხველის ყურადღებას ასეთს საზიზღარ აზრებზე, რომ მათის შემწეობით არ მტკიცდებოდეს გაზეთების ბრალდება: კიშინევში მომხდარს უბედურებაში დამნაშავენი არიან ანტისემიტური გაზეთები, რომელნიც სისტემატიურად სდევნიდნენ ამ ერს და ქრისტიანთ აქეზებდნენ. უბედურება არ არის, რომ შესაძლებელი ყოფილა ასეთის აზრის გავრცელება, ვითომც ებრაელთ ჯერ არ დაუმსახურებიათ სახელმწიფოსაგან დაცვა და აწი უნდა დაიმსახურონო! თუ ებრაელი მოკლულ იქმნა, თურმე პირველად ის ქრისტიანი უნდა შევვეცოდოს, რომელსაც ებრაელი შემოაკვდა. ამაზე შორს საზიზღრობა ველარ წავა...

შემდეგ ნაბოკოვი ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც გამოიწვიეს კიშინევში ებრაელთა აკლება. სხვათა შორის, პატივცემული ავტორი სწერს:

> კულტურით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხს კარგა ხანია უქადაგებენ, რომ ებრაელი ადამიანიკი არა, არამედ ყოველ ღირსებასა და უფლებას მოკლებული „ჟიდ“-ია. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ რუსის გლეხი გულ-წრფელად დარწმუნებულია, „ჟიდ“-ის გულისათვის პასუხისგება არ არსებობსო. ასეთი აზრი, ასეთი შეხედულება ებრაელებზე შედეგია იმ შევიწროებისა, რომელსაც კანონი არგუნებს ებრაელთ. მათ ყოველივე უფლება წავართვით, დავამწყვდიეთ ერთ ალაგას, რომელსაც ზიზღით „ებრაელთა საცხოვრებელ ჩერტას“ ვუწოდებთ, და რაღა საკვირველია, რომ ხალხიც აღარა სთვლის მათ ადამიანებად!..

⁂

თავ. მეშჩერსკი თავის „გრაჟდანინ“-ში სწერს:

> ყოველი მკითხველი მძიმე და მწარე გრძნობით უნდა აღივსოს, როდესაც ჰკითხულობს კიშინევის ამბებს; ამასთანავე გაკვირვებით უნდა იკითხოს შემდეგი: თუ 20 აპრილს ბესსარაბიის გუბერნატორმა შესძლო და მთელის ამალით გამოვიდა აივანზე დისციპლინის მნიშვნელობაზე სიტყვის წარმოსათქმელად, რით უნდა ავხსნათ, რომ იმავე გუბერნატორმა ებრაელების აკლების დროს ვერ შესძლო გამოსვლა და ხალხის დამშვიდება?!.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

3 მაისის კრება

კრების გახსნისათანავე გუბერნიის წინამძღოლმა თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა აუწყა თავად-აზნაურობას, რომ გუშინ საღამოს ტფილისში გარდაიცვალა თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც ჩემამდე ექვსის წლის განმავლობაში გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო და ამ ხნის განმავლობაში თავისი შრომა არ დაუკლია თავად-აზნაურთა სამსახურისათვისაო. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე განსვენებულის თავადისა ის იყო, რომ სწორედ იმისის მეოხებით დღეს თავად-აზნაურთა ბანკის წევრთა საზოგადო კრებები მოისპო და იმის მაგიერ შემოღებულ იქმნა რწმუნებულთა კრებები. ამ გზით ბანკის მოქმედების ზედამხედველობა და პატრონობა უმთავრესად თავად-აზნაურთა ხელში დარჩა. სხვა გზითაც ბევრი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს თავადს, მხოლოდ ჯერ კიდევ თავადის გაუციებელ გვამის წინ დრო არ არის ამაზე ლაპარაკისა; მე მხოლოდ გთხოვთ განსვენებულის თავად კონსტანტინე ივანეს ძის სახელი ფეხზე წამოდგომით მოიხსენიოთ; იმის კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკოთ და ეხლავე აქედან განსვენებულის სადგომზე ერთად წავიდეთ და პანაშვიდს დავესწროთ. ამას გარდა, გთხოვთ გამოსვენების დღესაც ყველანი ერთად დავესწროთო—დაასრულა წინამძღოლმა თავისი სიტყვა და კრება ორშაბათს, 5 მაისისათვის გადასდო, დილის ათ საათამდე.

კრებამ სრული თანხმობა გამოაცხადა თავ. მელიქიშვილის წინადადებაზე და დამსწრე თავად-აზნაურობა მიცვალებულის სადგომისაკენ გაემართა პანაშვიდზე დასასწრებლად.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა წლიური მორიგი კრება

2 მაისისათვის კრებას დარჩა მხოლოდ არჩევნების საქმე. ღამის მეათე საათს დაიწყო არჩევნები. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად და უკენჭოდ აირჩიეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე; უკენჭოდვე არჩეულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარედ უგანათლებულესი თავ. პ. ა. გრუზინსკი.

კენჭის ჩამოტარებით აირჩიეს: ზედამხედველ კომიტეტის წევრებად: 1) ქორუდი გ. დ. (96—18), 2) დიასამიძე თავ. კ. ნ. (94—20), 3) თუმანიშვილი ი. კ. (93—21), 4) ჯანდიერი თავ. დ. კ. (90—24), 5) ჩოლოყაშვილი თავ. ა. ზ. (90—24), 6) აბხაზი თავ. კ. ნ. (86—28), 7) მაყაშვილი თავ. გ. კ. (86—28), 8) ცხვეთაძე ნ. ზ. (81—33) და 9) მიქელაძე თავ. გ. ს. (76—38).

დამფასებლებად კენჭი იყარეს 14 კაცმა და ამოუვიდა: 1) ანდრონიკაშვილს თავ. ი. დ. 21 თეთრი 103 შავი კენჭი, 2) ვაჩნაძეს თავ. ს. ს. 50—74, 3) მაყაშვილს თავ. კ. ზ. 64—61, 4) მგალობლიშვილს ი. პ. 77—48, 5) ფურცელაძეს დ. ა. 63—61, 6) ფავლენიშვილს თავ. გ. ი. 31—93, 7) თარხნიშვილს თავ. გ. დ. 45—79, 8) აბაშიძეს ა. დ. 55—69, 9) ჯორჯაძეს თავ. ა. დ. 44—80, 10) მგალობლიშვილს ს. ზ. 37—87, 11) ნიჟარაძეს თავ. ა. ნ. 45—79, 12) ვაჩნაძეს თავ. ი. რ. 42—82 13) ცაიქალამანიძეს კ. რ. 25—99 და 14) აბაშიძეს თავ. ა. დ. 33—91.

ამგვარად დამფასებლებად კრებამ აირჩია: 1)

სებით განვითარება. ეს წრე არ არის ერთხელ და სამუდამოთ შექმნილი, იგი იცვლება, იცვლება ადამიანთან ერთად. მაგრამ შეუძლებელია ერთის წრის ძალად მოსპობა და მეორე ეროვნულის წრის შექმნა: ამის შედეგია ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განადგურება....

დღეს ეროვნებას არ შეუძლია იყოს ისეთი ვიწრო და არა საზოგადო-ადამიანური, როგორც იყო წინად. ერს არ ძალუძს თქვას: მე ვარსებობდე, გავძლიერდე, დავიმორჩილო სხვა ერები, სხვების დარდი არა მაქვს, კაცობრიობა წაღმა მივა და უკუღმა, ეს მე არ შემეხებაო. აქ არაფრად მოსატანია სიექვო? თვისების მეტაფიზიკური შეხედულება, რომ ერს, მხოლოდ როგორც თვისებურს არსებას, შეუძლია შეიტანოს საუნჯე კაცობრიობის კულტურაშიო. ეს ჰეგელის გადასხვაფერებული მოძღვრებაა, რომელიც ამბობდა: ისტორია არის აბსოლუტურის გონების, „იდეის“ განვითარება კაცობრიობაში, სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ერია ამ „იდეის“ გამომხატველი, ასეთი ერია მარტო კულტურული, იგი უნდა ბატონობდეს და მას ემორჩილებოდეს სხვებიო. ჰეგელის შეხედულება შესცვალეს და მისი „იდეა“ დაუნაწილეს ბევრს ერს (თუ სუყველას არა) და ამბობენ, რომ ყოველს ერს შეაქვს თავისი წვლილი საკაცობრიო კულტურაშიო, და ამით უნდათ მოუპოვონ ერის არსებობას raison d' être მაგრამ, როგორც ვთქვით, ერის არსებობა ყველაზედ უწინარეს სხვა საფუძველზეა დამყარებული: ყოველს ადამიანს უნდა მიეცეს ადამიანური ცხოვრება, ერს უნდა მიეცეს ეროვნული უფლებანი, რომ სავსებით და უნაკლულოდ განვითარდეს მასში ადამიანობა, რომ მოეწყოს საუკეთესოთ მისი ცხოვრება. როდესაც ადამიანი ჩადგება ასეთს პირობებში, განვითარდება, რასაკვირველია, ჯერ საკუთარის თავისათვის (ეს პირველი საქმეა), ადამიანი შეიქნება ადამიანი,—მერე თავისთავად მოჰყვება ამას ისტორიულად ცხოვრება, საერთო სალაროში თავის საუნჯის შეტანა...

აშკარაა ჩვენი აზრი: ჩვენ არ ვიცავთ უსახო, ვოლაპიუკის ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობას, არამედ ცოცხალ ერთა სოლიდარობას. ეს არ შეუძლიათ გაიგონ მხოლოდ სულით ღლახაკებს, რომელთაც საგნის არა გაეგებათ-რა სრულებით და ხმა მაღლა ყვირიან მხოლოდ და ჰგონიათ, რომ ამ ყვირილით ჩააჩუმებენ მოწინააღმდეგეს. ახალ-გაზდობამ რაკი ეროვნება კაცობრიობას დაუახლოვა, გაამდიერა ერი საზოგადო-ადამიანურის მოსწრაფებით, იგი სასოწარკვეთილებას მიეცა ამის გამო?..

სასაცილონი ხართ, სასაცილონი, ჩვენო „ნაციონალისტებო“!

სიტყვა.

ი. ბ. მკალობლიშვილი, 2) თავ. კ. ზ. მაყაშვილი და 3) დ. ა. ფურცელაძე.

რადგან ორი კანდიდატიც საჭირო იყო, ხელმეორედ კენჭი იყარეს და კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: 1) ა. დ. აბაშიძე (28—4) და 2) თავ. ს. ს. გაჩნაძე (30—2).

ამით რწმუნებულთა კრება დასრულდა ღამის $11^{1}/_{2}$ საათს.

პატრი ანსელმო მღებრიშვილი

(ბათუმის ახალ ეკლესიის დამფუძნებელი)

დღეს, მაისის ოთხს, ბათუმში აკურთხებენ რომის კათოლიკეთა ახალ ეკლესიას, რომლის საძირკველის ჩამყრელი არის და ახლა იმის დამთავრებასა და კურთხევასაც მოესწრო, ამ ჟამად ლოგინად მყოფი, 50 წლის მღვდელი ანსელმო მღებრიშვილი.

მ. მღებრიშვილი ქუთაისელია, ღარიბის კაცის შვილი. ეკურთხა მღვდლად 1870 წლებში, იყო წინამძღვრად ცოტა ხანს მოზდოკს, ვორს და თავის დედა-ქალაქ ქუთაისს. ბათომის შემოერთების შემდეგ 1878 წელს ბათუმში ბევრი კათოლიკე გადასახლდა ახალციხესა და ქუთაისიდან. ამავე დროს ქალაქს მოემატა ამავე სარწმუნოების ნემეცი, ფრანგი და პოლონელი, ასე რომ საკმაოდ დიდი მრევლი გაჩნდა რომის კათოლიკე სარწმუნოებისა. ამ ხანებში მამა ანსელმომ დაიწყო სიარული ბათუმში მრევლის მოწვევით და საბოლოოთაც იქ დაბინავდა საღმრთო მსახურების ასასრულებლად. წირვა-ლოცვისათვის კერძოდ დაქირავებული სახლები ჰქონდა; ბევრი გაჭირვება გამოიარა ამ ხანებში. ბოლოს დაიბადა აზრი საკუთარის ეკლესიის აშენებისა. დიდი ღვაწლი დასდვა ამისათვის მამა ანსელმომ. იშოვნა მრევლის დახმარებით (მათში ბატონ ნიკოლოზ საბაშვილის შრომით) ადგილი 1896 წ. და საძირკველი ჩაჰყარა ეკლესიისა. ნელ-ნელა შენდებოდა წვრილ-წვრილად მრევლში შეკრებილ ფულით და ბოლოს სტეფანე ზუბალაშვილის შესამჩნევის შემწეობით დასრულდა ეკლესიის შენობა. დღეს, 4 მაისს, რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი ედუარდ როპპი აკურთხებს ეკლესიას, რომლისთვისაც იგი გაემგზავრა ტფილისიდან 2 მაისს. ბათუმის ახალი ეკლესიის აშენებას, როგორც ამბობენ, ორას ათასს მანეთზე მეტი მოუნდა. იგი საქართველოს ეკლესიებს შორის ერთი უმშვენიერესია; მამა ანსელმომ ამ ეკლესიას მოანდომა ბევრი შრომა, ზრუნვა, ერთგულება. ასეთი ღვაწლი მიუძღვის პატივცემულ მამა ანსელმოს.

წერილი სოხუმიდან

(ხმოსნების არჩევნები)

ორშაბათს, 29 აპრილს, სოხუმში მოხდა საქალაქო არჩევნები ადგილობრივ საბჭოს განსაახლებლად. როგორც მოსალოდნელი იყო, სოხუმში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებია, ხმოსნებადაც ქართველები მეტი იქმნა არჩეული. სულ კენჭი იყარა 76 კაცმა; ამათგან არჩეულ იქმნა ხმოსნად 38 კაცი და ერთიც კანდიდატად. ამოსარჩევი დარჩა კიდევ 7 კანდიდატი, რისთვისაც დაინიშნება დამატებითი არჩევნები. ამორჩეულ 38 ხმოსნიდან და 1-ის კანდიდატიდან 23 ქართველია, 14 რუსი და 2 ბერძენი. აი, სია სოხუმის ახალ საბჭოს ხმოსნებისა 1903—1907 წლებისათვის: ა. ა. ოსტროუმოვი, პროფესორი (ამოუვიდა 145 თეთრი კენჭი და 19 შავი); გ. ი. კეტლაროვი, სოხუმის პოლიცმეისტერად ნამყოფი (118—45); ა. გ. დადი, ბანკის დირექტორი (102—61); დ. დ. ჟუდრა, ტეხნიკი (98—65); ს. ს. იაკობწვი, მოხელე (114—49); თ. მ. გაბუნია, ვაჭარი (131—31); გ. დ. გოგრიჩიძე, ვაჭარი (123—40); კ. გ. წერაძე, ვაჭარი (113—50); ი. ზ. ცეცხლაძე, ვაჭარი (109—53); გ. ბ. კვალია, ვაჭარი (120—43); პ. გ. კუთილაძე, ვაჭარი (97—66); გ. პ. თურქია, ვაჭარი (112—51); გ. დ. მარკოვი, გადასახადთა ინსპექტორი (115—48); ნ. ი. კოკოჟანოვი, აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა (115—48); ი. ტ. დოლუა, ვაჭარი (107—56); ნ. ტ. ჩიქოვანი, ვაჭრის შვილი (121—42); კ. ნ. ადათუზოვი, აგრონომი (107—56); თავ. ი. გ. შერვაშიძე (111—52); ს. ს. თურქია, ვაჭარი (85—78); დ. გ. თოფურიძე (92—71); ა. გ. შუშელია (90—73); მ. გ. კნიშენკო, ბუხჰალტერი (91—72); შ. ი. კირტაძე, ვაჭარი (101—62); ნ. ნ. მეტაქსა, დამზღვევ საზოგადოების აგენტი (95—68); ზ. გ. ბუბუშვილი, ვაჭარი (101—62); ტ. ნ. ზახაროვი, ნაფიცი ვექილი (98—65); ი. ს. გვაზავა, ვაჭარი (93—70); გ. ბ. კისნერი, რუსეთის სანაოსნო საზოგ. აგენტი (99—64); ი. შ. ბაბაჯან, ვაჭარი (84—79); თავ. ა. გ. შერვაშიძე (106—57); როძევიჩი, მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი (83—80); ბ. ფ. მარკელი, ექიმი (101—62); ა. ი. როდიჩი, მოხელე (98—65); გ. ს. თოფურიძე, ვაჭარი (90—73); ტ. ი. ანუა, ვაჭარი (98—57); გ. ტ. ბარკალაია, ვაჭარი (93—62); ი. ი. კიწმარიშვილი, ვაჭარი (88—67); კ. ტ. ჩერქეზიშვილი, მოხელე (83—72); დ. ნ. მეტაქსა (84—71.)

ამათგან ბ. როძევიჩი ჩაირიცხება კანდიდატად, დანარჩენები ხმოსნებად. დამატებითი არჩევნები მალე დაინიშნება და შემდეგ არჩევნები წარედგინება დასამტკიცებლად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მაისი.

კონსტანტინოპოლი. მიუდგომლისა და ბეჯითის გამოძიებით დამტკიცდა, რომ ოსმალეთში საიდუმლოდ შემოზიდულია დიდ-ძალი დინამიტი, მაგრამ არა ბულგარიიდან, არამედ ბელგიიდან საბერძნეთზე.

ლენქორანი. 1-ლ მაისს, დღისით, საზღვრების დარაჯთა რაზმი ტყეში შეიმწყვდიეს სპარსელ ავაზაკებმა. როტმისტრი და ორი ჯარისკაცი მოკლულ იქმნენ.

კონსტანტინოპოლი. ცნობა, ვითომც დიდი ვეზირი სამსახურს თავს ანებებსო, საფუძვლს მოკლებულია.

სულთანმა კვლავ ბრძანა, რომ მაკედონელთა კომიტეტების წინააღმდეგ მიღებულ სასტიკ ღონისძიებათა აღსრულების დროს, ხელი არ ახლონ უდანაშაულო პირთ; ყველა სამმართველო ორგანოები პასუხს აგებენ ამაში.

პორტა აცხადებს, რომ მონასტირსა და მის მიდამოებში მშვიდობიანობა და წესიერება იქმნა აღდგენილი.

პეტერბურგი. 2 მაისს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ჯარები.

3 მაისი.

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა დარწმუნდა, რომ მაისის პარადში მონაწილე ჯარის ყველა ნაწილები საუკეთესო მდგომარეობაში იყვნენ და უცხადებს გულითად მადლობას მათ იმპერატორებით უმაღლესობას გვარდიის და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსს; უმაღლესი მადლობა უბრძანათ კორპუსთა უფროსებს: გენერალ-ადიუტანტ ბარონ მეიენდორფს, გენერალ-ლეიტენანტს დასკოვსკის და თავად ვასილჩიკოვს და უმაღლესი წყალობა ყველა დანარჩენ უფროსებს.

„პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი მოხსენება რუსეთის საკონსულოს მმართველისა უსკიუბში რეფორმების მოხდენის საქმეზე რუმელიის სამ ვილაიეტში.

კონსტანტინოპოლი. იტალიის სელჩომ აუწყა პორტას, რომ იტალიელ ესკადრის დივიზია მიდის სალონიკიდან და იქ ჯერ-ჯერობით სტოვებს ერთ ჯავშნიან გემს და ერთ ნაღმიან გემს.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა კაბინეტიანათ სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა. ეს თხოვნა მიღებულ იქმნა.

კონსტანტინოპოლი. გაზეთის ცნობა იმის შესახებ, რომ ვითომ სულთანის ირადეს ძალით ყველა აქ მყოფი ბოლგარეთის სამთავროს ქვეშევრდომი ბოლგარელი აქედან განდევნეს, ტყუილია. აგრეთვე უსაფუძვლოა ის ცნობა, ვითომ პროვინციაში მყოფი ბოლგარები უნდა სამთავროს სამფლობელოში დაბრუნდნენ.

ცნობები ახალ განზრახვებზე უსკიუბსა და მონასტირში და ბოლგარეთის მცხოვრებლების ქცევაზე,—ტყუილია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (ვაგონ-სამზარეულოთი, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
ყოველგან ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი ქართული წიგნი
დიდი მოურავი
გიორგი სააკაძე
გ. ხუხუაშვილისა

ჰღირს 80 კ. ვინც ოცი ანუ ოც ცალზე მეტს იყიდის, იმას თითო წიგნი დაეთმობა ათ შაურად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში გალუსტა შიხიაშვილს. (5—6—5)

ცინკოგრაფია
ტფილის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა
განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

№ 4711
CAPTOL
„კაპტოლი“
საუკეთესო წყალი
თმებისათვის

თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასამაგრებლად. **ქერქლისა** და ქავილის და თმის დაცვენის წინააღმდეგი საშუალება; მომზადებულია მედიც. დოქტორის **მიხგოფისა** ელბერფელდში.

„კაპტოლი“ არ შეადგენს საიდუმლო საშუალებას.

ერთად ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულჰენსი
კელნი და რიგა.
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა-და-სხვა მასალის დამმზადებელი.
(მც. 5.—7)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—42)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საჭიროა ქალაქის პირველ-დაწყებით ორ სკოლისა და ქალთა საპროფესიონალო სახელოსნოსათვის **სადგომები** შემდეგ ნაწილებში: 1, 2, 3, 4, და მეხუთე საპოლიციო უბანში.

ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილების კანცელარიაში. (1—1).

იყიდება ყინული

სუდებნი ქუჩაზე, მაისურაძის სახლში, № 4, ღვინის სარდაფს **„ოქროში“**. ღარიბ ავადმყოფებს ყინული უფასოდ მიეცემათ. იქვე იყიდება ნამდვილი **კახური ღვინო.**

ქ. ცომაკურიძე. (4—4)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისი.
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—23)

მაზოლის სითხე ჰოლლენდერ

მაზოლი მაშინვე ჰქრება, თუ იხმართ მაზოლის სითხეს **ჰოლლენდერ**, სრულიად ტკივილს არ იგრძნობთ. ფასი თითო ფლაკონისა 35 კაპ., ორი ფლაკონი იგზავნება ფოსტით 1 მანათად ი. ჰოლლენდერის ლაბორატორიიდან, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. იყიდება იმპერიის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (ნ. 4—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 3 мая, 1903 г.   ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.   (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)